“ტორპედოს” პირველი დამარცხება

გუშინდელი მატჩი სსრ კავშირის პირველობაზე მოსკოვის “ტორპედოსა” და თბილისის “დინამოს” ფეხბურთელებს შორის პირველი წრის უკანასკნელი თამაში იყო ორივე გუნდისათვის, ამიტომ ამ მეტად საპასუხისმგებლო ეტაპზე მას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. ინტერესს მატჩისადმი ზრდიდა ისიც, რომ დინამოელებს, როგორც იტყვიან, სხვა გზა არ ჰქონდათ, უნდა მოეგოთ იგი უკანასკნელი დამარცხების თუნდაც ნაწილობრივი რეაბილიტაციისათვის, ხოლო ტორპედოელები, გარდა იმისა, რომ წარმატების შემთხვევაში ინტერვალს შეინარჩუნებდნენ ლიდერებთან, პირველ წრეს ამთავრებდნენ დაუმარცხებლად.

მოსკოვის “ტორპედომ” მოედანზე გამოიყვანა თავისი საუკეთესო შემადგენლობა: დენისენკო, ტარასოვი, ხრენოვი, არხიპოვი, მარენკო, სოფრონოვი, ილინი, ივანოვი, სტრელცოვი, ანისიმოვი, ზოლოტოვი.

თბილისის “დინამო” მოედანზე კვლავ “მოდერნიზებული” შემადგენლობით გამოვიდა (პირველი წრე დამთავრდა ისე, რომ გუნდს არ ჰყოლია სტაბილური შემადგენლობა): კიტია, რუსაძე, ძიაპშპა, ხოჭოლავა, ვარდიმიადი, მახარაძე, კოტრიკაძე, კ. გაგნიძე, კალოევი, ღოღობერიძე, იამანიძე. მატჩს სჯიდა ა. ზიაბლიკოვი (ლენინგრადი).

თბილისელებმა ბურთის პირველ შეხებიდანვე გაითამაშეს სწრაფი კომბინაცია (კალოევი–ღოღობერიძე– გაგნიძე–კოტრიკაძე), რომელიც მარჯვენა ფრთაზე ჩაქრა. სულ მალე ვარდიმიადი ორჯერ ზედიზედ გავიდა მარჯვენა მხრიდან მეტად სახიფათო ზონაში, მაგრამ საბოლოო დარტყმა არ აიღო თავის თავზე, ხოლო მისი გადაცემა არაზუსტი გამოდგა.

პირველი წუთების განმავლობაში სტუმრები თავის კართან მჭიდროდ მიჯაჭულები იყვნენ და დიდი გაჭირვებით ახერხებდნენ თბილისელთა ტემპიანი, აგრესიული იერიშების მოგერიებას. დროის სულ მცირე მონაკვეთში ღოღობერიძე ორჯერ იყო კარის წინ ისეთ მდგომარეობაში, საიდანაც საჭიროა მხოლოდ კარში დარტყმა, მან კი გადაცემა ამჯობინა და კომბინაცია კვლა ჩაიშალა.

დიდხანს “ტორპედო” ყრუ დაცვაში იყო, მხოლოდ ერთხელ გავიდა სტრელცოვი “დინამოს” კართან, რაც კინაღამ გოლით არ დამთავრდა – კიტიამ ბურთი კუთხურზე გადაიყვანა.

თბილისელთა კომბინაციებში ხშირად მოთამაშეთა დიდი ჯგუფები იღებდა მონაწილეობას, მაგრამ ისინი იძულებული იყვნენ ქარის წინააღმდეგ მოკლე გადაცემებით ეთამაშათ, ამგვარად კი ძნელი იყო დიდი ტერიტორიის გადალახვა მეტოქის კარამდე. მოსკოველებს კი პირიქით 1–2 შორეული გადაცემით თამაში დინამოელთა კართან გადაჰქონდათ.

მასპინძელთა იერიშები 20 წუთის განმავლობაში გრძელდებოდა, და როცა “ტორპედოს” კართან გოლი მომწიფდა, ამ დროს ძველი ისტორია გამეორდა: მოწინააღმდეგის მცირერიცხოვანი შეტევებიდან ერთ–ერთი გოლით დამთავრდა – სტრელცოვმა მიიღო ბურთი, წინ გავიდა ისე, რომ მისთვის ხელი არავის შეუშლია, დაარტყა და გაიტანა გოლი – 1:0.

გატანილმა ბურთმა აღაფრთოვანა სტუმრების თავდასხმა. მაღალი ოსტატობით თამაშობდნენ ივანოვი, ზოლოტოვი, სტრელცოვი, რომლებიც სისწრაფეში ჯობნიდნენ “დინამოს” მცველებს. 23–ე წუთზე ღოღობერიძე დრიბლინგით გავიდა მარცხენა ფრთაზე, სადაც ხრენოვმა მას უხეშად დაუდო ფეხი. “დაზარალებულმა” ზუსტად გაიტანა პენალტი – 1:1. ტაიმის დასასრულამდე

ანგარიში აღარ შეცვლილა, თუმცა მე–40 წუთზე, როცა ღოღობერიძე მეკარესთნ პირისპირ დარჩა, მოსკოველთა კარი “ბეწვზე ეკიდა”.

შესვენების შემდეგ დინამოელებმა ახალი ენერგიით შეუტიეს მოწინააღმდეგეს. “ტორპედოს” კართან ზედიზედ იქნა მოწოდებული რამდენიმე საჯარიმო დარტყმა, მაგრამ თავდამსხმელები ჯიუტად ასრულებდნენ ერთსა და იმავე ტრაფარეტს – დაბალი ბურთის მოწოდებას კუთხიდან, რომელსაც უკვე წინასწარ მოელოდნენ “ტორპედოს” მცველები.

თბილისელთა ერთ–ერთ შეტევისას კოტრიკაძე გაექცა არხიპოვს, რომელმაც უკანასკნელი, მაგრამ აკრძალული ხერხი იხმარა მის წინააღმდეგ და წააქცია იგი საჯარიმო მოედანზე. ღოღობერიძემ ასევე ზუსტად გაიტანა მეორე 11–მეტრიანი – 2:1. 33–ე წუთზე იამანიძემ მარცხენა ფრთიდან მარჯვენაზე გადმოინაცვლა, კუთხური დარტყმიდან მიიღო ბურთი და კარის შორეულ კუთხეში გადასცა კალოევს. დინამოელთა ცენტრალურმა თავდამსხმელმა თავით ზუსტად გაგზავნა იგი კარში – 3:1.

დარჩენილ დროში მოსკოველებმა სცადეს გარდატეხის შეტანა თამაშში, მაგრამ “დინამოს” მცველებმა, სადაც განსაკუთრებით გამოირჩეოდნენ ხოჭოლავა და ვარდიმიადი, შეძლეს კარის უვნებელყოფა.

ანგარიშით 1:3 მოსკოვის “ტორპედომ” განიცადა პირველი დამარცხება მიმდინარე წლის გათამაშებაში.

რ. ქორიძე.
“ლელო”, 19 ივნისი, 1955 წ.